სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030660285024117

23 / მარტი / 2017 წ. **თბილისი #06-59/ო**

”საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების რეგულირების, სტანდარტული ოპერაციული პროცედურის (SOP)- ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრის, განცხადებების და მიმართვის სტანდარტული ფორმის დამტკიცების და შესახებ” სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2015 წლის 30 სექტემბრის #06-175/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ”საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების რეგულირების, სტანდარტული ოპერაციული პროცედურის (SOP)- ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრის, განცხადებების და მიმართვის სტანდარტული ფორმის დამტკიცების და შესახებ” სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2015 წლის 30 სექტემბრის #06-175/ო ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს:

ა) შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

"ვ) სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებათა სარეგისტრაციო მოწმობის ფორმა - დანართი #6;“

ბ) შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) რეგისტრირებული სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების შესახებ ცნობის ფორმა - დანართი #7.“

2. დაევალოს, ცენტრის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (კ. ოჩიგავა), უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4.ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე